

2005

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N 622 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნავსადგურებში ჰუმანიტარული დანიშნულების გემების მიმოსვლის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ, 2005 წლის 22 ივლისი.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N 622 აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნავსადგურებში ჰუმანიტარული დანიშნულების გემების მიმოსვლის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ

1. დამტკიცდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნავსადგურებში ჰუმანიტარული დანიშნულების გემების მიმოსვლის თანდართული დროებითი წესი.
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა (ბ. ბიწაძე) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტთან ერთად (ზ. ანთელიძე) უზრუნველყოს აღნიშნული წესის შესრულება.
3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ს. ზურაბიშვილი) დადგენილი დროებითი წესი გააცნოს საქართველოში აკრედიტებული საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოებსა და საკონსულოებს, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციას და სხვა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს.
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 19 მაისის N 328 ბრძანებულება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნავსადგურებში გემების მიმოსვლის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“.

მიხეილ სააკაშვილი

2005 წლის 22 ივლისი ქ. თბილისი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნავსადგურში ჰუმანიტარული დანიშნულების გემების მიმოსვლის დროებითი წესი

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნავსადგურში უცხოეთიდან შემავალი ჰუმანიტარული დანიშნულების გემების მფლობელები, ჰუმანიტარული ტვირთის გამომგზავნი ორგანიზაციები ან კერძო პირები შეტყობინებას გემისა და ჰუმანიტარული ტვირთის გამომგზავნის შესახებ შესათანხმებლად უგზავნიან საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობებს (საელჩოებს, საკონსულოებს). შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს გემის სახელწოდება, დროშა, ჰუმანიტარული ტვირთის სახეობა, შემოსვლისა და გასვლის ადგილი და დრო.

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნავსადგურში შესვლამდე და ნავსადგურის დატოვების შემდეგ ჰუმანიტარული დანიშნულების გემების შემოწმება (სასაზღვრო და საბაჟო კონტროლი) განხორციელდეს ფოთის ნავსადგურის გარე რეიდზე განსაზღვრულ კოორდინატებში:

ა) ტანკერების შემოწმება:

421124.0 ჩ.გ.

413527.6 ა.გ.

421200.0 ჩ.გ.

413551.0 ა.გ.

421112.0 ჩ.გ.

413752.8 ა.გ.

421047.4 ჩ.გ.

413757.0 ა.გ.

421036.0 ჩ.გ.

413734.8 ა.გ.

ბ) მშრალტვირთმზიდი გემების შემოწმება:

420856.4 ჩ.გ.

413548.0 ა.გ.

421021.0 ჩ.გ.

413548.0 ა.გ.

420948.0 ჩ.გ.

413716.8 ა.გ.

420856.4 ჩ.გ.

413721.0 ა.გ.

3. სააგენტო ფირმებმა უცხოეთისა და საქართველოს საერთაშორისო ნაოსნობის გემების საქართველოს ნავსადგურში შემოსვლა საკონტროლო გამტარ პუნქტს უნდა შეატყობინონ 72 (სამოცდათორმეტი) საათით ადრე და აუცილებლად დაადასტურონ 48 (ორმოცდარვა) და 24 (ოცდაოთხი) საათით ადრე, ხოლო გემის ნავსადგურში (რეიდზე) შესვლამდე არა უგვიანეს 2 (ორი) საათისა საკონტროლო-გამტარი პუნქტის მორიგეს დადგენილი წესით წარუდგინონ გემის ეკიპაჟის განრიგი და ოფიციალური შეკვეთა კომისიის დაწყებაზე (თუ გემს ტექნიკური მიზეზების გამო არ შეუძლია დადგენილი წესით წარმოადგინოს ეკიპაჟის განრიგი, გამონაკლისის სახით დასაშვებია აღნიშნული დოკუმენტის წარდგენა კომისიის მოწყობისას).

4. თუ ერთი პუნქტიდან მეორეში საზღვაო გადასვლის ხანგრძლივობა შეადგენს 48 ან 24 საათზე ნაკლებს, გემის კაპიტანმა საქართველოს საკონტროლო გამტარ პუნქტს აუცილებლად უნდა აცნობოს მისი წინა ნავსადგურიდან გამოსვლა გამოსვლიდან 30 წუთში.

5. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) 1965 წლის კონვენციის „საერთაშორისო მოსახერხებელი პირობების შექმნის შესახებ“ ცირკულარის FAL.2/ჩ/დჩ.47/ლEV.1.21.10. თანახმად, თავისუფალი პრაქტიკის გაფორმებისას გემების კაპიტნებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) საქართველოს ნავსადგურში შემოსვლისას:

გემის დოკუმენტები (SHIP'S DOCUMENTS FOR INSPECTION

გენერალური დეკლარაცია(GENERAL DECLARATION);

ტვირთის მანიფესტი ((KARGO MANIFEST);

გემის მარაგის ნუსხა (SHIP'S STORE LIST);

გემის პროვიზიის ნუსხა (SHIP'S PROVISION LIST);

ეკიპაჟის წევრთა პირადი ნივთების (ქონების) ნუსხა (CREW); MEMBER'S PERSONAL EFFECTS;

გემის ეკიპაჟის სია (CREW LIST);

მგზავრთა სია (PASSENGER LIST);

ეკიპაჟის წევრთა აცრების ნუსხა (LIST OF VACCINATION);

დერატიზაციის სერტიფიკატი (DERAT CERTIFICATE);

კონოსამენტი (BILL OF LADING);

გემის დატვირთვის და გადმოტვირთვის გეგმა (CARGO PLAN);

ბოლო ნავსადგურის დოკუმენტები (PORT CLEARANCE FROM LAST PORT);

იარაღისა და ტყვია-წამლის ნუსხა (ARMS AND AMMUNITION LIST);

კაპიტანის დეკლარაცია (CAPTAIN'S DECLARATION).

ბ) საქართველოს ნავსადგურების დატოვებისას გემის კაპიტანმა უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული დოკუმენტები, გარდა ეკიპაჟის წევრთა პირადი ნივთების (ქონების) ნუსხისა.

6. სათანადო პროცედურების გავლის შემდეგ საზღვრის გახსნასა და დახურვას ახდენს სასაზღვრო საკონტროლო-გამტარი პუნქტი „ფოთი-პორტი“.

7. ჰუმანიტარული ტვირთების შეტანა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაშვებულ იქნეს მხოლოდ საქართველოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული ერთჯერადი ნებართვის საფუძველზე, საბაჟო დეპარტამენტის მიერ წინასწარი საბაჟო კონტროლის განხორციელების შემდეგ.

(საქართველოს პრეზიდენტის არქივი)